


სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს

ქალბატონ ელენე ლუბიანურს

15.09.2025

№ 15/09-01

ქალბატონო ელენე,



გაცნობებთ, რომ შპს „შპს იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს (ს/კ: 405746340) მიერ დაგეგმილია მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო „იტეკ მარნეული 100 მვტ“ მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

წარმოდგენილი პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.4. ქვეპუნქტით (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად, წარმოადგენს სკრინინგს დაქვემდებარებულ პროცედურას.

ამავე კოდექსის II თავის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ასევე მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 პუნქტის საფუძველზე, წარმოგიდგინო შპს „შპს იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს (ს/კ: 405746340) მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო „იტეკ მარნეული 100 მვტ“ მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი/ელ. ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 მესხიერების ბარათი.

პატივისცემით,

შპს „შპს იტეკ მარნეული 100 მეტ“-ს წარმომადგენელი

გიორგი ბიჭიკაშვილი

